პროლეტარიელნო, გაერთიანდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 29-ე წელი

პარასკევი, 18 მარტი, 1949 წ. № 53 (8356). ფასი 20 კაპ.

ფართოდ გავაჩაღოთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა სოფლად

საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობამ დიდი ამოცანები დაუსახა რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მუშაკებს. სტალინური პროგრამაა დასახული მარცვლეული კულტურების მოსავლიანობის გადიდების დარგში. უახლოესი 8-10 წლის მანძილზე მარცვლეულის მოსავლიანობა 30-40 პროცენტით უნდა გაიზარდოს, დამზადდეს ერთისამად მეტი პური, ვიდრე 1948 წელს, რათა რესპუბლიკის მოსახლეობა ძირითადად უზრუნველყოფილ იქნას ადგილობრივი პურით.

მიმდინარე წლის საგაზაფხულო ხვნა-თესვის წარმატებით ჩატარება უმნიშვნელოვანესი ეტაპია დასახული პროგრამის შესრულების გზაზე. დადგა საგაზაფხულო სამუშაოთა ყველაზე პასუხსაგები და გადამწყვეტი პერიოდი. საკოლმეურნეო სოფლებში გაჩაღდა ხვნა, ბევრგან უკვე დაიწყო თესვაც. ეს სამუშაოები უნდა წარიმართოს ნათესი ფართობების შემდგომი გადიდებისა და მოსავლიანობის ამაღლების ნიშნით.

წარმატება ამ ამოცანების შესრულებაში დიდად არის დამოკიდებული იმაზე, თუ როგორ მოვაწყობთ მასობრივ-პოლიტიკურ მუშაობას სოფლად. მით უფრო მეტი იქნება მიღწეული მუშაობაში, რაც უფრო ღრმად, კარგად ეცოდინება კოლმეურნე გლეხობას სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომი ამოცანები. სოფლის პარტიული ორგანიზაციების უპირველესი ამოცანაა მთელი მასობრივ-პოლიტიკური და საagიტაციო მუშაობა ამჟამად სოფელში გაჩაღებული საგაზაფხულო კამპანიის წარმატებით ჩატარებას დაუქვემდებარონ. საჭიროა კოლმეურნე გლეხობას ყოველდღიურად განეუმარტოთ საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარების მნიშვნელობა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების განმტკიცებაში, ხალხის კეთილდღეობის ამაღლებაში. სოფლის ყველა მშრომელს კარგად უნდა ჰქონდეს შეგნებული, რომ საგაზაფხულო სამუშაოთა დროზე და მაღალხარისხოვნად ჩატარება მისი პატრიოტული მოვალეობაა.

საგაზაფხულო სამუშაოთა ბედი უშუალოდ მინდვრად წყდება. ამიტომ აუცილებელია მთელი მასობრივ-საagიტაციო მუშაობა საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში გადავიტანოთ. agიტატორის მართალი, დამრაზმავი სიტყვა საკოლმეურნეო მინდვრებზე უნდა გაისმოდეს, იგი უნდა ეხმარებოდეს მთელი ძალებისა და საშუალების გამოყენებას ხვნა-თესვის მოკლე ვადებში, აუროღონისძიებათა მტკიცედ დაცვით ჩატარებისათვის.

სოფლის პარტიულმა ორგანიზაციებმა, რომლებსაც კარგად აქვთ შეგნებული მიმდინარე სასოფლო-სამეურნეო საგაზაფხულო სამუშაოთა მნიშვნელობა, მტკიცედ მოკიდეს ხელი კოლმეურნეობებში საagიტაციო-მასობრივი მუშაობის გაწევას. გაძლიერდა agიტატორთა კადრი მომზადებული, უნარიანი ამხანაგებით. agიტატორები კოლმეურნე გლეხობას განუმარტავენ ამჟამად სოფლის მეურნეობის წინაშე მდგომ ამოცანებს, საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობის გადაწყვეტილებებს, ამხანაგ ჩარკვიანის მიერ სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ ამოცანებს, ყრილობის მიერ ბელადისათვის გაგზავნილი წერილით ნაყისრ ვალდებულებებს, სოფლის მშრომელთა თავდადებული შრომის მნიშვნელობას ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ძლიერების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

საჭიროა ამ მუშაობის კიდევ უფრო გაშლა და გაძლიერება, მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის ყველა ბერკეტის ამოქმედება საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებისათვის. ამასთან ეს მუშაობა აუცილებელია წარმოებდეს სისტემატურად, ყოველდღიურად. შეუძლებელია შეეფერებოდეთ კამპანიურობას ამ საქმეში.

პოლიტიკურ agიტაციაში მთავარია მისი იდეურობა, მისი მტკიცე კვაშირი ცხოვრებასთან. აუცილებელია agიტაცია იყოს არა ზოგადი, არამედ კონკრეტული, მჭიდროდ დაკავშირებული სოფლის მეურნეობის მუშაკთა ამოცანებთან. პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ სისტემატურად იზრუნონ საagიტაციო-მასობრივი მუშაობის მაღალი დონისათვის, რომ იგი ნამდვილად ეხმარებოდეს კოლმეურნე გლეხობას სადღესასწაულო ამოცანების გაგებაში, ზრდიდეს მას საბჭოთა პატრიოტიზმის სულისკვეთებით, რაზმავდეს სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ.

ბოლშევიკი agიტატორების მოვალეობაა სათავეში ჩაუდგნენ სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებას საკოლმეურნეო ბრიგადებსა და რგოლებში, იზრუნონ იმისათვის, რომ ნაკისრი ვალდებულებანი განუხრელად სრულდებოდეს. სოციალისტური სოფლის ნოვატორთა, უხვი მოსავლის ოსტატთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება, კოლმეურნეთა მასებში მათი შრომის მეთოდების დანერგვა agიტატორთა უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ახლახან დამთავრებულმა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეხუთე სესიამ დაამტკიცა სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიც ასახულია ჩვენი სახალხო მეურნეობის მიღწევები და მომავალი ამოცანები ხუთწლიანი გეგმის ვადამდე შესრულებისათვის ბრძოლაში. agიტატორთა მოვალეობაა მოაწყონ სესიის მასალების ფართო პოპულარიზაცია, განუმარტონ საკოლმეურნეო სოფლის მშრომელებს, რომ ჩვენი ბიუჯეტი საბჭოთა კავშირის მშრომელთა კულტურისა და მატერიალური კეთილდღეობისათვის ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უდიდეს ზრუნვას ადასტურებს, კაპიტალისტური ქვეყნების ბიუჯეტები კი ახალი ომის გაჩაღებისა და შშრომელთა საარსებო ინტერესების წინააღმდეგ შემდგომი შეტევის პოლიტიკის გამოხატულებაა.

პარტიულ ორგანიზაციებს მოეთხოვებათ არ დაკმაყოფილდნენ მარტო agიტატორთა კადრების შერჩევით, ყოველმხრივი და ყოველდღიური დახმარება გაუწიონ იმ ადამიანებს, რომელთაც დაკისრებული აქვთ დიდი და საპატიო ამოცანა—მასების აღფრთოვანება ბოლშევიკური სიტყვით, მათი შეგნების დონის ამაღლება, დარაზმვა სოფლის მეურნეობის შემდგომი აღმავლობისათვის. აუცილებელია უფრო შინაარსიანი გავხადოთ agიტკოლექტივების მუშაობა, გავაძლიროთ მათი დახმარება agიტატორებისადმი, ხშირად მოვაწყოთ agიტატორთა სემინარები, თათბირები, მათი გამოცდილების ურთიერთგაზიარება, გავუწიოთ agიტატორებს საჭირო ინსტრუქციები, მოვამზადოთ სათანადო ლიტერატურით, ხშირად შევამოწმოთ მათი მუშაობა.

საგაზაფხულო სამუშაოთა წარმატებით ჩატარებას უნდა დავუქვემდებაროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის მრავალფეროვანი საშუალებანი: საუბრები, ხმამაღალი კითხვა, მოხსენებები, ლექციები, რადიო, კინო, თვალსაჩინო agიტაცია. საგაზაფხულო თესვის შემჭიდროებულ ვადებში ჩატარებას უნდა ემსახურებოდეს ამჟამად სოფლის კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებანი, საკოლმეურნეო გაზეთები, სალელე ფურცლები.

„ჩვენი პროგრამის რეალობა — ეს ცოცხალი ადამიანებია, ეს თვითონ ჩვენა ვართ თქვენთან ერთად, ჩვენი ნებისყოფა შრომისადმი, ჩვენი მზადყოფნა ვიმუშაოთ ახლებურად, ჩვენი სიმტკიცე გეგმის შესრულებაში...“ — ასე გვასწავლის დიდი სტალინი.

საკოლმეურნეო სოფლის ადამიანთა ნებისყოფა ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის ბრძოლაში მით უფრო მტკიცე იქნება, რაც უფრო მაღლა იდგომება მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის დონე, რაც უფრო კარგად მოეწყობა ბოლშევიკური agიტაცია.

სოფლის პარტიულ ორგანიზაციებს ამჟამად არ გაანიათ უფრო საპატიო ამოცანა, ვიდრე შშრომელთა დარაზმვა უხვი მოსავლის მიღებისათვის, ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის, ამხანაგ სტალინისადმი მიცემული პირობის განაღდებისათვის. ამ ამოცანის შესასრულებლად უნდა ავამოქმედოთ ყველა ძალები, ამ ამოცანას მთლიანად უნდა დავუქვემდებაროთ მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა.

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
სარატოვ-მოსკოვის გაზსადენისათვის ი. ბ. სტალინის სახელის მიკუთვნების შესახებ

დაამაყოფილდეს სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის საზოგადოებრივი ორგანიზაციების თხოვნა, აგრეთვე მოსკოვის ხელმძღვანელი პირტიული და საბჭოთა ორგანიზაციების შეუამდგომლობა და სარატოვ-მოსკოვის გაზსადენს მიეკუთვნოს ი. ბ. სტალინის სახელი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წ. 16 მარტი.

კანონი
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ წარმოდგენილი სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საბიუჯეტო კომისიების მოხსენებათა გამო მიღებული ცვლილებებით, სახელდობრ: სულ შემოსავლის ნაწილში 446.034.323 ათასი მანეთი და სულ გასავლის ნაწილში 415.355.205 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 30.688.118 ათასი მანეთის გადამეტებით და, გარდა ამისა, 1950 წლის 1 იანვრისათვის რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტებით საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთები 2.737.166 ათასი მანეთის რაოდენობით.

2. ამ კანონის პირველი მუხლის შესაბამისად დამტკიცდეს 1949 წლის საკავშირო ბიუჯეტის შემოსავალი 353.620.165 ათასი მანეთის რაოდენობით და გასავალი 322.932.047 ათასი მანეთის რაოდენობით, გასავალზე შემოსავლის 30.688.118 ათასი მანეთის გადამეტებით.

3. დამტკიცდეს მოკავშირე რესპუბლიკების 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტები შემდეგი თანხების რაოდენობით:

	შემოსავლის ნაწილში (ათას მანეთობით)	გასავლის ნაწილში (ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	51.571.426	51.571.426
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	41.217.184	11.958.164
ადგილობრივი ბიუჯეტები	10.354.242	39.613.262
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	16.502.934	16.502.934
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	14.150.768	5.515.861
ადგილობრივი ბიუჯეტები	2.352.166	10.987.073
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.741.096	3.741.096
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	3.509.978	1.324.493
ადგილობრივი ბიუჯეტები	231.118	2.416.603
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.190.252	3.190.252
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	2.706.804	1.387.458
ადგილობრივი ბიუჯეტები	483.448	1.802.794
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	3.577.601	3.577.601
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	3.244.701	1.440.112
ადგილობრივი ბიუჯეტები	332.900	2.137.489
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.500.045	2.500.045
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	2.277.852	1.110.978
ადგილობრივი ბიუჯეტები	222.193	1.389.067
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.830.081	1.830.081
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.634.036	714.360
ადგილობრივი ბიუჯეტები	196.045	1.115.721
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.306.798	1.306.798
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.202.847	666.434
ადგილობრივი ბიუჯეტები	103.951	640.364
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.055.066	1.055.066
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	969.722	499.661
ადგილობრივი ბიუჯეტები	085.344	555.405
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.447.689	1.447.689
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.249.887	774.445
ადგილობრივი ბიუჯეტები	197.802	673.244
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	959.621	959.621
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	872.892	385.525
ადგილობრივი ბიუჯეტები	86.729	574.096
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	899.528	899.528
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	795.232	368.137
ადგილობრივი ბიუჯეტები	104.296	531.391
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.102.935	1.102.935
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.027 013	581.799
ადგილობრივი ბიუჯეტები	75.922	521.136
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.221.633	1.221.633
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	1.172.263	714.162
ადგილობრივი ბიუჯეტები	49.370	507.471
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	966.880	966.880
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	880.676	539.844
ადგილობრივი ბიუჯეტები	86.204	427.036
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	549.573	549.573
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტი	519.598	356.180
ადგილობრივი ბიუჯეტები	29.975	193.465
სულ რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტები	92.423.158	92.423.158
აქედან: რესპუბლიკური ბიუჯეტები	77.431.453	28.337.541
ადგილობრივი ბიუჯეტები	14.991.705	64.085.617

4. დაწესდეს რესპუბლიკური და ადგილობრივი ბიუჯეტების საბიუჯეტო სახსრების გარდამავალი ნაშთები 1950 წლის 1 იანვრისათვის შემდეგი რაოდენობით: რუსეთის სფსრ რესპუბლიკაში—1.547.143 ათასი მანეთი, უკრაინის სსრ რესპუბლიკაში—495.088 ათასი მანეთი, ბელორუსიის სსრ რესპუბლიკაში — 112.233 ათასი მანეთი, უზბეკეთის სსრ რესპუბლიკაში — 95.708 ათასი მანეთი, ყაზახეთის სსრ რესპუბლიკაში—107.013 ათასი მანეთი, საქართველოს სსრ რესპუბლიკაში—68.107 ათასი მანეთი, აზერბაიჯანის სსრ რესპუბლიკაში—54.902 ათასი მანეთი, ლატვის სსრ რესპუბლიკაში—26.373 ათასი მანეთი, მოლდავეთის სსრ რესპუბლიკაში—31.652 ათასი მანეთი, ლატვიის სსრ რესპუბლიკაში—35.028 ათასი მანეთი, ყირგიზეთის სსრ რესპუბლიკაში—21.703 ათასი მანეთი, ტაჯიკეთის სსრ რესპუბლიკაში—26.986 ათასი მანეთი, სომხეთის სსრ რესპუბლიკაში — 33.088 ათასი მანეთი, თურქმენეთის სს რესპუბლიკაში—36.649 ათასი მანეთი, ესტონეთის სს რესპუბლიკაში—29.006 ათასი მანეთი, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკაში—16.487 ათასი მანეთი.

5. დამტკიცდეს ანარიცხები რესპუბლიკური ბიუჯეტებიდან ავტონომიური სს რესპუბლიკებისა და ადგილობრივი საბჭოების ბიუჯეტებში გადასარიცხავად 1949 წელს შემდეგი თანხების რაოდენობით:

	(ათას მანეთობით)
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	29.259.020
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	8.634.907
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	2.185.485
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.319.346
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.804.589
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	1.166.874
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	919.676
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	536.413
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	470.061
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	475.442
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	487.364
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	427.095
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	445.214
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	458.101
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	340.832
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	163.490
სულ	49.093.912

6. დაწესდეს 1949 წლისათვის ანარიცხები საერთო-საკავშირო სახელმწიფო გადასახადებიდან და შემოსავლიდან რესპუბლიკურ და ადგილობრივ ბიუჯეტებში გადასარიცხ-ავად შემდეგი ოდენობით:

ა) შემოსავალი ბრუნვის გადასახადიდან: რსფს რესპუბლიკა — 7,6 პროცენტი, უკრაინის სს რესპუბლიკა—19,0 პროცენტი, ბელორუსიის სს რესპუბლიკა—33,8 პროცენტი, უზბეკეთის სს რესპუბლიკა—11,6 პროცენტი, ყაზახეთის სს რესპუბლიკა—27,1 პროცენტი, საქართველოს სს რესპუბლიკა — 28,5 პროცენტი, აზერბაიჯანის სს რესპუბლიკა—17,8 პროცენტი, ლიტვის სს რესპუბლიკა—49,0 პროცენტი, მოლდავეთის სს რესპუბლიკა — 46,4 პროცენტი, ლატვიის სს რესპუბლიკა—15,4 პროცენტი, ყირგიზეთის სს რესპუბლიკა—31,3 პროცენტი, ტაჯიკეთის სს რესპუბლიკა—25,3 პროცენტი, სომხეთის სს რესპუბლიკა—35,9 პროცენტი, თურქმენეთის სს რესპუბლიკა — 47,8 პროცენტი, ესტონეთის სს რესპუბლიკა—21,3 პროცენტი, კარელია-ფინეთის სს რესპუბლიკა—36,7 პროცენტი;

ბ) მოსახლეობისაგან საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, კოლმეურნეთა და ერთპიროვნულ მეურნეთა სასოფლო-სამეურნეო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, სსრ კავშირის უცოლო და უქმრო, მარტოხელა და მცირეოჯახიან მოქალაქეთაგან გადასახადის სახით შემოსული თანხებიდან, მანქანა-ტრაქტორთა სადგურების შემოსავლიდან, სატყეო შემოსავლიდან და მოსახლეობაში გავრცელებული სახელმწიფო სესხის თანხიდან—50 პროცენტი.

7. დამტკიცდეს სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში შემოსავლის ნაწილში 386.189.556 ათასი მანეთი; გასავლის ნაწილში 361.542.204 ათასი მანეთი, გასავალზე შემოსავლის 24.647.352 ათასი მანეთის გადამეტებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წ. 14 მარტი.

დარბაზობა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ი. ვიშინსკისთან კორეის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად

15 მარტს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ი. ვიშინსკიმ დარბაზობა გამართა კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად. დარბაზობას დაესწრნენ: მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პაკ ხენ ენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ხონ მენ ხი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი ტენ დიუნ თხიაკი, ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ტიან სი უ, განათლების მინისტრი ბ-ნი პიაკ ნამ უნი, კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი კიმ დენ დიუ, ფინანსთა მინისტრის მოადგილე ბ-ნი კიმ ჩანი და სხვა ოფიციალური პირები, აგრეთვე სსრ კავშირში კორეის სალეჩოს წევრები ელჩ ბ-ნ დიუ ენ ხას მეთაურობით და სსრ კავშირში აკრედიტებულ ბულგარეთის, პოლონეთის, რუმინეთის, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის, ალბანეთის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მეთაურები.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიკოიანი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ა. ვლასოვი, რსფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ბ. ნ. ჩერნოუსოვი, სსრ კავშირის მინისტრები ს. ვ. კაფტანოვი, ბ. პ. ბეშჩევი, ი. გ. ბოლშაკოვი, კ. პ. გორშენინი, მ. ა. მეწნიკოვი, საბჭოთა კავშირის მარშალები ა. მ. ვასილევსკი, კ. ა. მერეცკოვი, არმიის გენერალები ს. მ. შტემენკო, მ. ვ. ზახაროვი, ადმირალი ი. ს. იუმაშევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, ნ. პ. ფირიუბინი, ნ. ნ. დანილოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო, ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილეები ბ. ნ. კუზიკინი, ვ. პ. მიგუნოვი, მ. ა. სერგეიჩუკი, სსრ კავშირის ელჩები ტ. ფ. შტიკოვი, მ. ა. სილინი, ი. ს. ჩერნაშევი, ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრი კ. ვ. კისელიოვი, რსფსრ განათლების მინისტრი ა. ა. ეროზესენსკი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი ს. ი. ვავილოვი, საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი მ. პ. ტარასოვი, ნ. გ. პალგუნოვი, ა. ა. პუზინი, უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საკავშირო სახოგადოების გამგეობის თავმჯდომარე ა. ი. დენისოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი თანამშრომლები, მეცნიერები, მწერლები, მხატვრები, მსახიობები, საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლები.

დარბაზობამ გულთბილ და მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

დარბაზობა კორეის მოსკოვის საელჩოში

16 მარტს კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა დიუ ენ ხამ დარბაზობა მოაწყო მოსკოვში მყოფი კორეის მთავრობის დელეგაციის პატივსაცემად.

დარბაზობას დაესწრნენ: კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარე ბ-ნი კიმ ირ სენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე და საგარეო საქმეთა მინისტრი ბ-ნი პაკ ხენ ენი, მინისტრთა კაბინეტის თავმჯდომარის მოადგილე ბ-ნი ხონ მენ ხი, სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე ბ-ნი ტენ დიუნ თხიაკი, ვაჭრობის მინისტრი ბ-ნი ტიან სი უ, განათლების მინისტრი ბ-ნი პიაკ ნამ უნი, კავშირგაბმულობის მინისტრი ბ-ნი კიმ დენ დიუ და კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის სხვა ოფიციალური პირები.

საბჭოთა მხრივ დარბაზობას დაესწრნენ: სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ა. ი. მიკოიანი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ი. ვიშინსკი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრი მ. ა. მეწნიკოვი, სსრ კავშირის კავშირგაბმულობის მინისტრი ნ. დ. პსუროცოი, სსრ კავშირის გზათა მინისტრი ბ. პ. ბეშჩევი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. თ. გორკინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეები ა. ა. გრომიკო და ვ. ა. ზორინი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე ადმირალი ი. ს. იუმაშევი, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ვ. პ. მიგუნოვი, საბჭოთა კავშირის მარშალი კ. ა. მერეცკოვი, სსრ კავშირის ელჩი კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში ტ. ფ. შტიკოვი, რსფსრ განათლების მინისტრი ა. ა. ეროზესენსკი, საკავშირო რადიოკომიტეტის თავმჯდომარე ა. ა. პუზინი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს, სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის სამინისტროს, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების სამინისტროს პასუხისმგებელი მუშაკები, საბჭოთა საზოგადოებრიობისა და საბჭოთა პრესის წარმომადგენლები.

სტუმრებს-შორის იყვნენ მოსკოვში აკრედიტებული მთელი რიგი საელჩოებისა და მისიების მეთაურები. (საკდესი).

ბრძანებულება

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
მოსკოვის საბჭოს საშვენებლო ორგანიზაცია „მოსგაზსტროის“ ლენინის ორდენით დაჯილდოების შესახებ

ქალაქ მოსკოვში საცხოვრებელი სახლების გაზიფიკაციის, გაზის ქსელისა და ნაგებობათა მშენებლობის საქმეში მთავრობის დავალებათა წარმატებით შესრულებისათვის მოსკოვის საბჭოს სამშენებლო ორგანიზაცია „მოსგაზსტროი“ დაჯილდოებულ იქნას **ლენინის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გოტრკინი

მოსკოვი, კრემლი.
1949 წ. 16 მარტი.

კ ა ნ ო ნ ი

სსრ კავშირის ცალკეულ სამინისტროთა გაერთიანების, შექმნისა და ლიკვიდაციის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

1. დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი:

1948 წლის 23 ივლისისა „სასურსათო რეზერვების სამინისტროს და მატერიალური რეზერვების სამინისტროს სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების საერთო-საკავშირო სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სატყეო მრეწველობის სამინისტროს და ცელულოზისა და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 29 ივლისისა „სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის სამინისტროს შექმნის შესახებ“;

1948 წლის 2 აგვისტოსი „ქიმიური მრეწველობის სამინისტროს და რეზინის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საფეიქრო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სამხრეთი და დასავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ნავთის მრეწველობის სამინისტროს, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავგაზტოპპრომის“ და „გლავნეფტეგაზსტროის“ და სსრ კავშირის სახელმწიფო მომარაგების მთავარ სამმართველოსთან არსებული „გლავნეფტესნაბის“ სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „სსრ კავშირის აღმოსავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის დასავლეთი რაიონების თევზის მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის თევზის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 28 დეკემბრისა „დასავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს, აღმოსავლეთი რაიონების ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროს და სათბობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს ქვანახშირის მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 20 იანვრისა „სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროს და სსრ კავშირის საგემოვნო მრეწველობის სამინისტროს სსრ კავშირის კვების მრეწველობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1949 წლის 9 მარტისა „სამხედრო და სამხედრო-საზღვაო საწარმოთა მშენებლობის სამინისტროს და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული „გლავმაშსტროის“ მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის სამინისტროდ გაერთიანების შესახებ“;

1948 წლის 1 მარტისა „სამედიცინო მრეწველობის სამინისტროს ლიკვიდაციის შესახებ“.

2. შეტანილ იქნას სათანადო ცვლილებანი და დამატებანი სსრ კავშირის კონსტიტუციის 77-ე და 78-ე მუხლებში და ეს მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„მუხლი 77. საერთო-საკავშირო სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:
საავიაციო მრეწველობისა;
საავტომობილო და სატრაქტორო მრეწველობისა;
საგარეო ვაჭრობისა;
შეიარაღებისა;
გეოლოგიისა;
სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვებისა;
დამზადებათა;
მანქანათმშენებლობისა და ხელსაწყოთმშენებლობისა;
მეტალურგიული მრეწველობისა;
საზღვაო ფლოტისა;
ნავთის მრეწველობისა;
კავშირგაბმულობის საშუალებათა მრეწველობისა;
გზათა;
სამდინარო ფლოტისა;
კავშირგაბმულობისა;
სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობისა;
დაზგათმშენებლობისა;
სამშენებლო და საგზაო მანქანათმშენებლობისა;
მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობისა;
მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა მშენებლობისა;
გემთმშენებლობის მრეწველობისა;
სატრანსპორტო მანქანათმშენებლობისა;
შრომითი რეზერვებისა;
მძიმე მანქანათმშენებლობისა;
ქვანახშირის მრეწველობისა;
ქიმიური მრეწველობისა;
ელექტრომრეწველობისა;
ელექტროსადგურებისა“.

„მუხლი 78. საკავშირო-რესპუბლიკურ სამინისტროებს ეკუთვნიან სამინისტროები:
შინაგან საქმეთა;
შეიარაღებული ძალებისა;
უმაღლესი განათლებისა;
სახელმწიფო კონტროლისა;
სახელმწიფო უშიშროებისა;
ჯანმრთელობის დაცვისა;
საგარეო საქმეთა;
კინემატოგრაფიისა;
მსუბუქი მრეწველობისა;
სატყეო მეურნეობისა;
სატყეო და ქაღალდის მრეწველობისა;
ხორცისა და რძის მრეწველობისა;
კვების მრეწველობისა;
საშენ მასალათა მრეწველობისა;
თევზის მრეწველობისა;
სოფლის მეურნეობისა;
საბჭოთა მეურნეობებისა;
ვაჭრობისა;
ფინანსთა;
იუსტიციისა“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:** დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებანი იმის შესახებ, რომ დაინიშნენ:

სსრ კავშირის ვაჭრობის მინისტრად—ვასილ გაბრიელის-ძე **ფავორონკოვი;**
კავშირგაბმულობის მინისტრად—ნიკოლოზ დემიანის-ძე **პსურცევი;**
გზათა მინისტრად—ბორის პავლეს-ძე **ბეშჩევი;**
სახელმწიფო სასურსათო და მატერიალური რეზერვების მინისტრად — **დმიტრი ივანეს-ძე ფომინი;**
სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის მინისტრად—**გიორგი მიხეილის-ძე ორლოვი;**
სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მინისტრად — ივანე თევდოროსის-ძე **თევოსიანი;**
სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის მინისტრად — მიხეილ გიორგის-ძე **პერვუხინი;**
სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრად — ნიკოლოზ ვასილის-ძე **ნოვიკოვი;**
სსრ კავშირის სატყეო მეურნეობის მინისტრად — ალექსანდრე ივანეს-ძე **ბოვინი;**
სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის მინისტრად—ალექსი ნიკოლოზის-ძე **კოსიგინი;**
სსრ კავშირის ნავთის მრეწველობის მინისტრად — ნიკოლოზ კონსტანტინეს-ძე **ბაიბაკოვი;**
სსრ კავშირის თევზის მრეწველობის მინისტრად — ალექსანდრე აკიმის-ძე **იშკოვი;**
სსრ კავშირის ქვანახშირის მრეწველობის მინისტრად — ალექსანდრე თევდორეს-ძე **ზასიადკო;**
სსრ კავშირის კვების მრეწველობის მინისტრად — ვასილ პეტრეს-ძე **ზოტოვი;**
სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრად—ანდრია იანუარის-ძე **ვიშინსკი;**
სსრ კავშირის საგარეო ვაჭრობის მინისტრად — მიხეილ ალექსანდრეს-ძე **მენშიკოვი;**
დაზგათმშენებლობის მინისტრად—ანატოლი ივანეს-ძე **კოსტოუსოვი;**
მანქანათმშენებლობის საწარმოთა მშენებლობის მინისტრად — ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე **დიგაი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ა. ი. ეფრემოვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. ალექსანდრე ილარიონის-ძე **ეფრემოვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ა. ვოზნესენსკის განთავისუფლების თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნიკოლოზ ალექსის-ძე ვოზნესენსკი სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ ამხ. მ. ზ. საბუროვის დანიშვნის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს ამხ. მაქსიმე ზაქარიას-ძე **საბუროვი** სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

კ ა ნ ო ნ ი

„ხაბაროვსკის მხარის შემადგენლობიდან ამურის ოლქის რსფსრ დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 2 აგვისტოს ბრძანებულება „ხაბაროვსკის მხარის შემადგენლობიდან ამურის ოლქის რსფსრ დამოუკიდებელ ოლქად გამოყოფის შესახებ“.

ამის შესაბამისად სსრ კავშირის კონსტიტუციის 22-ე მუხლში სიტყვის „მხარეები“ შემდეგ დაემატოს სიტყვა „ამურის“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. ა. ა. ვოლინის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარედ ამხ. ანატოლი ანტონის-ძე **ვოლინი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრების არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნან სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს წევრებად:
სერგი ვალენტინის-ძე **ბაკშეევი,**
სტეფანე პავლეს-ძე **ბიტიუკოვი,**
ვასილ ანდრიას-ძე **ბორისენკო,**
ნიკოლოზ ნიკიფორეს-ძე **გუსევი,**
გრიგოლ იაკობის-ძე **ზაიდინი,**
ევლამპი ლავრის-ძე **ზეიდინი,**
გრიგოლ ელისეის-ძე **კოვალენკო,**
ნიკოლოზ კუზმას-ძე **მოროზოვი,**
ვალენტინ ევგენის-ძე **პანიუგინი,**
ვასილ ვასილის-ძე **სტუჩეკი,**
ალექსი თევდორეს-ძე **ტარასოვი,**
ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე **ჩეპცოვი,**
დმიტრი დმიტრის-ძე **ჩერტკოვი,**
თევდორე მაქსიმეს-ძე **იაკოვლევი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის სპეციალური სასამართლოების არჩევის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 30 ივლისისა და 3 დეკემბრის ბრძანებულებანი სსრ კავშირის სპეციალური სასამართლოების არჩევის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის ზოგიერთი მუხლის შეცვლის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებათა დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 13 ივლისის ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-8 და 23-ე მუხლების შეცვლისა და 25-ე მუხლის გაუქმების შესახებ“ და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 15 ივლისის ბრძანებულება „სასოფლო-სამეურნეო გადასახადის კანონის მე-10 მუხლის შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

„კოლმეურნეობათა სამეფოსავლო გადასახადის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 11 აგვისტოს ბრძანებულება „კოლმეურნეობათა საშემოსავლო გადასახადის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

„მოქალაქეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობის უფლების თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 26 აგვისტოს ბრძანებულება „მოქალაქეთა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების ყიდვისა და მშენებლობის უფლების შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

„სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-11 მუხლის შეცვლის თაობაზე“ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების დამტკიცების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

დამტკიცდეს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1948 წლის 16 სექტემბრის ბრძანებულება „სსრ კავშირის, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების სასამართლო წყობილების კანონის მე-11 მუხლის შეცვლის შესახებ“.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. ნ. ი. ნაგალევიჩის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. ნიკიფორე იაკობის-ძე **ნაგალევიჩი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვ. ი. კოზლოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ვასილ ივანეს-ძე **კოზლოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან ამხ. გ. თ. სტურუას განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. გიორგი თევდორეს-ძე **სტურუა** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ ამხ. ვ. ბ. გოგუას არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ვასილ ბარნაბის-ძე **გოგუა** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილედ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან ამხ. ჯ. ს. პოპკოვის განთავისუფლების შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

განთავისუფლდეს ამხ. პეტრე სერგის-ძე **პოპკოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრის მოვალეობისაგან.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად ამხ. ვ. მ. ანდრიანოვის არჩევის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის უმაღლესი საბჭო **ადგენს:**

არჩეულ იქნას ამხ. ვასილ მიხეილის-ძე **ანდრიანოვი** სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. შვერნიკი
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ა. გორკინი

მოსკოვი, კრემლი. 1949 წლის 14 მარტი.

სახალხო სასამართლოების (სახალხო მოსამართლეებისა და სახალხო მსაჯულების) არჩევნების შედეგების შესახებ

(ცნობები არჩევნების შედეგების შესახებ ქვეყნდება იმ მასალების მიხედვით, რომლებიც სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო. მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმებისაგან)

1948 წლის 19 დეკემბრიდან 1949 წლის 20 თებერვლამდე სსრ კავშირის კონსტიტუციის 109 მუხლისა და მოკავშირე რესპუბლიკათა კონსტიტუციების შესაბამისი მუხლების საფუძველზე მოხდა სახალხო სასამართლოების (სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა) არჩევნები.

მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო სასამართლოების არჩევნების დროს კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღეს (პროცენტობით ამომრჩეველთა საერთო რიცხვის მიმართ):

რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	99,87
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,91
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,95
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,92
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,97
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,97
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,99
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,52
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,86
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,68
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,93
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,98
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,98
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,93
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,38
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,92.

ამრიგად, არჩევნებში მონაწილეობა მიიღო თითქმის ყველა ამომრჩეველმა, სულ მცირე გამონაკლისით.

მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს ხმა მისცეს (პროცენტობით კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა რიცხვის მიმართ):

	სახალხო მოსამართლეთა კანდიდატებს	სახალხო მსაჯულთა კანდიდატებს
რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკა	99,02	99,87
უკრაინის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,54	99,92
ბელორუსიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,69	99,97
უზბეკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,70	99,99
ყაზახეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,49	99,96
საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,86	99,98
აზერბაიჯანის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,61	99,97
ლიტვის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,71	99,88
მოლდავეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,65	99,96
ლატვიის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,79	99,95
ყირგიზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,49	99,93
ტაჯიკეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,77	99,97
სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,67	99,96
თურქმენეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,69	99,98
ესტონეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,38	99,90
კარელია-ფინეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა	99,15	99,85

სულ მოკავშირე რესპუბლიკებში სახალხო მოსამართლეთა კანდიდატების წინააღმდეგ მიცემულია ხმების 0,72 პროცენტი და სახალხო მსაჯულთა კანდიდატების წინააღმდეგ 0,08 პროცენტი.

რსფსრ სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დებულების 50-ე მუხლის და სხვა მოკავშირე რესპუბლიკების სახალხო მოსამართლეთა არჩევნების დებულების შესაბამისი მუხლების საფუძველზე არანამდვილად ცნობილი ბიულეტენები აღმოჩნდა სახალხო მოსამართლეთა არჩევნებში 0,01 პროცენტი და სახალხო მსაჯულთა არჩევნებში—0,02 პროცენტი მიცემული ბიულეტენების საერთო რიცხვის მიმართ.

კენჭისყრის შედეგები მოწმობენ, რომ ამომრჩევლებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატებს.

ყველა არჩეული სახალხო მოსამართლე და სახალხო მსაჯული კომუნისტთა და უპარტიოთა ბლოკის კანდიდატები.

არჩეულ სახალხო მოსამართლეთა და სახალხო მსაჯულთა შორის არის ქალი—39,2 პროცენტი, საკავშირო კ. პ. (ბ) წევრი და წევრობის კანდიდატი—47,0 პროცენტი, უპარტიო—53,0 პროცენტი.

ერთ საარჩევნო ოლქში 1949 წლის 20 თებერვლისათვის დანიშნული არჩევნები არ მომხდარა და გადატანილია 20 მარტისათვის. (საკდესი).

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სხდომები

ქამათი სსრ კავშირის 1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტისა და სსრ კავშირის 1947 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შესახებ მოხსენების გამო

დეკუზევ ზ. ნ. კეცხოველის სიტყვა (სტალინირის საარჩევნო ოლქი, საქართველოს სსრ)

ამხანაგო დეპუტატებო! სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტი, რომელიც სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარმოადგინა, უზრუნველყოფს პარტიისა და მთავრობის მიერ 1949 წლისათვის დასახული ამოცანების შესრულებას.

1949 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი საბჭოთა სახელმწიფოს ეკონომიური ძლიერების, შემდგომი განმტკიცების, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების პროგრამაა, ხოლო ასიგნებანი შეიარაღებული ძალებისათვის უზრუნველყოფენ ჩვენი დიდი სამშობლოს საიმედო დაცვას.

ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით ჩვენმა ქვეყანამ 1948 წელს ახალი შესანიშნავი წარმატებანი მოიპოვა სოციალისტური მშენებლობის ყველა დარგში. 1948 წლის გეგმის გადაჭარბებით შესრულება და საერთო პროდუქციის დარგში სამრეწველო წარმოების ომამდელი დონის გადაჭარბება, წარმატებანი სოფლის მეურნეობის დარგში, სამრეწველო და სასურსათო საქონლის ფასების ახალი შემცირება, მშრომელთა ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი გაუმჯობესება — ყოველივე ეს მკაფიო მაჩვენებელია საბჭოთა წყობილების და მეურნეობის სოციალისტური სისტემის უპირატესობისა ძირმომპალი კაპიტალისტური სისტემის წინაშე.

მაშინ როცა კაპიტალისტურ ქვეყნებში მშრომელთა საარსებო დონე დღითი დღე დაბლა იწევს, — საბჭოთა კავშირის მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა განუხრელად უმჯობესდება.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტურმა რესპუბლიკამაც ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის ყოველდღიური დახმარებით 1948 წელს მნიშვნელოვანი წარმატებანი მოიპოვა სამრეწველო წარმოების, სოფლის მეურნეობისა და კულტურის აღმავლობის საქმეში.

სამრეწველო წარმოების გეგმა 1948 წელს რესპუბლიკაში შესრულებულია 110 პროცენტით, მრეწველობის საერთო პროდუქციის მოცულობა 1948 წელს 1947 წელთან შედარებით 13,5 პროცენტით გადიდდა და ომამდელ 1940 წელთან შედარებით 129,5 პროცენტი შეადგინა.

ხუთწლედის პირველი სამი წლის გეგმა საერთო პროდუქციის გამოშვების დარგში საქართველოს სს რესპუბლიკამ 112,2 პროცენტით შეასრულა.

წლითიწლობით იზრდება რესპუბლიკის მრეწველობა. ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანა წელს გამოუშვებს ფოლადის პირველ ნადნობს. კუთაისის საავტომობილო ქარხანა ხატვირთო ავტომანქანებს გამოუშვებს. დიდდება ქვანახშირის მოპოვება. 1948 წელს ერთიორად მეტი ქვანახშირი იქნა მოპოვებული 1940 წელთან შედარებით. 1948 წელს გამოღებულ იქნა 45 პროცენტით მეტი მარგანეცი, ვიდრე 1945 წელს.

